საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №58/18

-- -- (წარმომადგენელი) 2018 წლის 21 თებერვლის №58 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- --_მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 ივლისის №58/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის -- -- წარმოებაში არსებული საქმის განხილვა დასრულდა 2017 წლის 20 ნოემბერს. საქმის განხილვის ეტაპზე, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა მის მიერ წარდგენილი შუამდგომლობები, მოსამართლემ არ მისცა მას მოსაზრებების ჩამოყალიბების უფლება. მოსამართლემ არაკანონიერი გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე, რაც ყოველდღიურ ზიანს აყენებს მხარეს. 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება მხარეს ჩაბარდა მხოლოდ 2018 წლის 8 იანვარს. თბილისის სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი საჩივარი ვადის დარღვევით გასაჩივრების გამო დატოვა განუხილველი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 2 თებერვალს, -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- (მეუღლის გვარი) მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა. -- -- უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა ქ. თბილისში, -- -- (ნაკვეთი№15/035; 242 კვ.მ.) და უძრავი ქონება თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა მესაკუთრე -- --. -- -- -- სასარგებლოდ დაეკისრა 3128 (სამიათასასოცდარვა) ლარის გადახდა.

2018 წლის 16 იანვარს -- -- წარადგინა სააპელაციო საჩივარი.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 იანვრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 5 აპრილის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 29 იანვრის განჩინება.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

3.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის

საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. ამავე კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს, განსაზღვრავს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი - დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში და სარჩელის დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილების საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი სარჩელი საფუძვლიანია იგი დააკმაყოფილებს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პირიქით, უარს ეტყვის მხარეს მის დაკმაყოფილებაზე. შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

3.2. საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მოსამართლემ უარი უთხრა შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოში საქმის განხილვისას შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარე ახალი არსებითი გარემოების საფუძველზე შუამდგომლობას დააყენებს სასამართლო სხდომაზე“. „მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს

არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.“ ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად „სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. მტკიცებულებათა მიუღებლობის, მათ გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება.“

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე -- -- შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საოქმო განჩინების მიღებისას მოქმედებდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ფარგლებში და შესაბამისი საკითხების შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მის კანონიერებაზე. ამდენად, კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

3.3. “საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა

ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის #დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ სასამართლომ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (იხ. Golderc. Royaume-Uni, 21 février 1975, §§28-36, série Ano 18). სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო

გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (იხ. Hornsby, ხსენებული ზემოთ §40 და შემდგომ). სტრასბურგის სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეებში (Vermeulenv. Belgium, §34; Lobo Machadov. Portugal, §32). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას („დინეტი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Diennetv. France, §33);„ მარტინი საფრანგეთის წინააღმდეგ" (Martiniev. France [GC], §39)).

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამასთან, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. <u>ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.</u>

ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება გამოაცხადა 2017 წლის 20 ნოემბერს, ამდენად მხარისათვის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2017 წლის 20 დეკემბრიდან (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 30-ე დღეს) და დასრულდა 2018 წლის 3 იანვარს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხემ სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების თაობაზე მიმართა 2018 წლის 8 იანვარს, ამ დროს მას უკვე გასაჩივრების ვადა გაშვებული ქონდა. მართალია, იგი საჩივარში აღნიშნავს, რომ რამდენჯერმე დაუკავშირდა თანაშემწეს, რომელმაც განუმარტა, რომ გადაწყვეტილება მზად არ იყო და შესაბამისად ვერ ჩააბარებდა, თუმცა ამის დამადასტურებელი რაიმე სახის დოკუმენტი (მტკიცებულება) მას დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისათვის არ წარმოუდგენია.

ფაქტია, რომ -- -- სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა 2018 წლის 16 იანვარს (19 დღის დაგვიანებით). კონკრეტულ შემთხვევაში, მხარის მიერ გადაწყვეტილების ვადის დარღვევით გასაჩივრება გამოწვეულია მისი ბრალეული ქმედებით. საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 13 ხმით) მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №58/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე
საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი